

ა(ა)იპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია



საკონკურსო განცხადება

ა(ა)იპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ვებ-გვერდის დიზაინის შექმნის მომსახურების შესყიდვაზე

ქ. თბილისი, 2013 წელი

**ა(ა)იპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია აცხადებს
კონკურს ვებ-გვერდის დიზაინის შექმნის მომსახურებაზე**

- 1. შესყიდვის ობიექტი:** ა(ა)იპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ვებ-გვერდის დიზაინის შექმნის მომსახურება.
- 2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება:** 3000,00 (სამიათასი) ლარი.
- 3. დაფინანსების წყარო:** ა(ა)იპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არასაბიუჯეტო შემოსავლები.
- 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 სამუშაო დღე.

5. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პირს, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საქართველოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge), გადაიხადა კონკურსის მონაწილეობის საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და წარმოადგენს საკონკურსო წინადადებას.

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საინდივიდუალური კოდი;
- გ) კონკურსანტის დასახელება და საინდივიდუალური კოდი;
- დ) საკონკურსო განცხადების, სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად მინიჭებული ნომერი.

6. კონკურსის ჩატარების პირობები:

კონკურსანტი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს:

- 6.1 კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 6.2 კონკურსანტის რეკვიზიტები (იხილეთ დანართი N1);
- 6.3 პრეტენდენტის პროფესიული გამოცდილება (მსგავსი სახის პროექტებში მონაწილეობა, თანაავტორობა და ა.შ.) შესაბამისი პროექტების ჩამონათვალითა და მასში საკუთარი მონაწილეობის სტატუსის მითითებით;
- 6.4 კონკურსანტის მიერ შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

7. საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადა: 2013 წლის 16 აპრილი 11:00 საათიდან 18:00 საათამდე, ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა N22.

8. კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 17 აპრილს 15 საათზე.

წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, სავალდებულო მასალები და ინფორმაცია შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და წარმოდგენილი კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, ერთ დახურულ კონვერტში (კონკურსანტი ვალდებულია ასევე წარმოადგინოს საკონკურსო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია).

9. საკონკურსო წინადადების შეფასებისა და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენის პირობები

9.1 შემსყიდველი ორგანიზაცია საკონკურსო წინადადებების შეფასებასა და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენას ახდენს საკონკურსო კომისიის მეშვეობით ერთ ეტაპად.

9.2 შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია: კონკურსანტის მიერ საკონკურსო განცხადების შესაბამისად წარმოდგენილი სადემონსტრაციო მასალა.

9.3 კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შეფასება მოხდება წინადადები მიღების დასრულების დღიდან არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში, ღია კენჭისყრით კომისიის წევრთა სიითი სემადგენლობის უმრავლესობით. საკონკურსო კომისიის წევრი, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებას. ხმათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

10. კონკურსანტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

10.1 თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში;

10.2 თუ ის უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;

10.3 თუ ის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

11. კონკურსის შეწყვეტა:

11.1 საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

11.2 შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურის შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

12. ხელშეკრულების დადება:

გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გამარჯვებულ კონკურსანტთან დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (იხილეთ დანართი N4, ხელშეკრულების პროექტი)

13. ანგარიშსწორების პირობა:

13.1 საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით

13.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში ა(ა)იპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან.

13.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

14. დამატებითი ინფორმაცია:

საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონკურსო კომისიაში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში: ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. N22, საკონტაქტო პირი: რექტორის აპარატის ხელმძღვანელი ქეთევან ნემსაძე, 595 30-90-59, keti.nemsadze@art.edu.ge

ტექნიკური დავალება

კონკურსის მონაწილეებმა უნდა გამოაგზავნონ საიტის ფრონტალური (მთავარი) გვერდის და ორი შიდა გვერდის დიზაინის მონახაზი (სავალდებულოა ერთი რომელიმე ფაკულტეტის გვერდის წარმოდგენა), ქვემოთ ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინებით. მონაწილეებს ეძლევათ სრული კრეატიული თავისუფლება დიზაინის შექმნისას, შეუძლიათ იხელმძღვანელონ აკადემიის ვებ გვერდის სტრუქტურით იხ. დანართი N2.

სამხატვრო აკადემიის ვებ გვერდის დიზაინის შექმნა

ამოცანა

საიტმა შეიძინოს ახლი საინტერესო და უფრო ინტერაქტიული გრაფიკული ინტერფეისი გამარტივდეს ვებ-საიტის ნავიგაცია და მოხერხებულობა, რაც შეიძლება მარტივად მოხდეს ინფორმაციის მიწოდება მომხმარებელზე. შესვლის დროს მომხმარებელი არ უნდა დაიბნეს. მას არ უნდა დასჭირდეს ბევრი ლინკის გამოყენება ინფორმაციის მისაღებად. საიტი გათვლილი უნდა იყოს ისეთ მომხმარებელზეც ვისაც ხშირი შეხება არ აქვს კომპიუტერთან. რაც შეიძლება მარტივად მოსაძებნი და თვალსაჩინოდ წარმოდგენილი ინფორმაცია. სრუტუქტურა და მართვის სისტემა, მარტივად უნდა იყოს გადაწყვეტილი.

გრაფიკული, ვიზუალური მხარე

ინფორმაციული და აღქმადი. ტექსტურ მასალასთან ერთად გამოყენებული იყოს ფოტო მასალაც. მთავარი აქცენტი უნდა იყოს ინფორმაციის მიწოდებაზე მომხმარებლისთვის. Aარ უნდა იყოს დატვირთული ზედმეტი გრაფიკული დიზაინის ელემენტებით, თუმცა სამხატვრო აკადემიის სტრუქტურიდან გამომდინარე საჭიროა ჩართული იყოს ისეთი დიზაინის ელემენტებიც, რომლებიც შეესაბამება მის ლოგოს და სტილს. სასწავლებლის ხასიათიდან და იმიჯიდან გამომდინარე საიტი უნდა იყოს აკადემიური და დამატებით გამოყენებული იყოს თანამედროვე ტენდენციები. დაცული უნდა იყოს სტილი.

დიზაინის შექმნის დროს გათვალისწინებული იყოს მონიტორთა ზომების განსხვავება, ანუ ადაპტირებადი იყოს ზომებზე. სასურველია დიზაინი განაწილდეს ცენტრში არ დარჩეს გვერდებზე ბევრი ცარიელი ადგილი და ნებისმიერი ზომის ეკრანზე ერთნაირად გაიშალოს. ვებ გვერდის სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 980 პიქსელს

ვებ გვერდის დიზაინის შექმნის დროს გამოყენებული უნდა იყოს სამხატვრო აკადემიის ლოგო (იხილეთ დანართი N3)

ვებ გვერდი დაფუძნებული უნდა იყოს სამხატვრო აკადემიის ვებ გვერდის სტრუქტურაზე (იხილეთ დანართი N2)

კონკურსანტის რეკვიზიტები

1. რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი:

კონკურსანტის იურიდიული მისამართი:

კონკურსანტის ფაქტიური მისამართი:

საინდივიდუალური კოდი:

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:

კონკურსანტის ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

2. საკონკუროს წინადადების ფასი:

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა:

ხელმძღვანელის ხელმოწერა _____

სამხატვრო აკადემია

- ჩვენს შესახებ
 - ისტორია
 - შენობა
 - მისია
 - დოკუმენტები
 - სამართლებრივი აქტები აკადემიის შესახებ
 - აკრედიტაცია
 - წესდება
 - აკადემიის მიერ გამოცემული ბრძნებები
 - კანონი განათლების შესახებ
 - მართვა
 - აკადემიური საბჭო
 - ფოტო
საქმიანობის აღწერა (ტექსტი)
საკონტაქტო ინფორმაცია
- ადმინისტრაცია
 - რექტორი
 - კანცლერი
 - სასწავლო დეპარტამენტი
 - საგანმანათლებლო რეესტრი
 - ხელმძღვანელი + ფოტო
საქმიანობის აღწერა (ტექსტი)
საკონტაქტო ინფორმაცია
 - დიპლომების მენეჯმენტი
 - სასწავლო პროცესის დაგეგმარება
 - კარიერული მომსახურება
 - სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება
 - შიდა და გარე მოხილობა/საერთაშორისო სტუდენტები
 - საფინანსო-ეკონომიკური სამსახური
 - ბუღალტერია
 - ანალიზის განყოფილება
 - შესყიდვების განყოფილება
 - ვიცე-კანცლერი / სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური
 - სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება
 - საქმის წარმოების ჯგუფი
 - კანცელარია
 - საქმის წარმოების განყოფილება
 - არქივი
 - სამეურნეო სამსახური
 - კანცლერის თანაშემწე
 - რექტორის აპარატი
 - აპარატის უფროსი
 - საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
 - საერთაშორისო ურთიერთობის მენეჯერი

- შიდა კომუნიკაციების მენეჯერი
 - პროექტების მართვის მენეჯერი
- ადამიანური რესურსების მართვის და ორგანიზაციული განვითარების დეპარტამენტი
- ფაქტები
- ახალი ამბები
 - არქივი
 - გამოფენები
 - ფესტივალები
 - კონკურსები
 - სპეციალური სასწავლო პროგრამები
 - ეორექშოპები/საზაფხულო სკოლები/მასტერკლასები
 - გაცვლითი პროგრამები
 - სემინარები
 - სიმპოზიუმები/კონფერენციები
 - პროექტები
- განცხადებები
- **ფაკულტეტი**
 - სახვითი ხელოვნება
 - გრაფიკა
 - ბაკალავრიატი
 - დაზღუდული გრაფიკა (ტექსტი / პროგრამა)
 - პედაგოგები
 - ჩამონათვალი გვარებით და სახელებით
 - CV
 - კონტაქტი (მეილი, ვებ-გვერდი)
 - ბლოგი/ფეისბუქი
 - ნამუშევრები
 - მომდინარე შეტყობინებები
 - სილაბუსები
 - ანიმაცია
 - წიგნის დიზაინი და ილუსტრაცია
 - მაგისტრატურა
 - სარეკლამო გრაფიკა
 - პედაგოგები
 - ჩამონათვალი გვარებით და სახელებით
 - CV
 - კონტაქტი (მეილი, ვებ-გვერდი)
 - ბლოგი/ფეისბუქი
 - ნამუშევრები
 - მომდინარე შეტყობინებები
 - სილაბუსები
 - წიგნის დიზაინი და ილუსტრაცია
 - ანიმაცია
 - პროფესიული სწავლება
 - პროექტები
 - ფერწერა
 - თეატრი/კინო
 - ქანდაკება
 - მედიახელოვნება
 - დიზაინი
 - არქიტექტურა

- რესტავრაცია და
ხელოვნების ისტორია
- სპეციალური სასწავლო პროგრამები
- ვორქშოპები/საზაფხულო სკოლები/მასტერკლასები
 - თემატური აღწეილობა
 - მონაწილეობა (როდის, სად, ვისთვის, განაცხადის ფორმა)
 - კონტაქტი
 - ზმულები
- გაცვლითი პროგრამები
 - თემატური აღწეილობა
 - მონაწილეობა (როდის, სად, ვისთვის, განაცხადის ფორმა)
 - კონტაქტი
 - ზმულები
- სემინარები
 - თემატური აღწეილობა
 - მონაწილეობა (როდის, სად, ვისთვის, განაცხადის ფორმა)
 - კონტაქტი
 - ზმულები
- სიმპოზიუმები/კონფერენციები
 - თემატური აღწეილობა
 - მონაწილეობა (როდის, სად, ვისთვის, განაცხადის ფორმა)
 - კონტაქტი
 - ზმულები
- პროექტები
- მიღება და სწავლა
 - აბიტურიენტებისთვის
 - ვადები
 - განაცხადის ფორმები
 - სამახსოვრო
 - წესები
 - აპელაცია
 - უცხოელი სტუდენტებისთვის
 - სტუდენტებისთვის
 - განაცხადის ფორმები
 - ექსმატრიკულაცია
 - მობილობა
 - განაცხადის ფორმები
 - წესები
 - სამახსოვრო
 - განცხადებები
 - მატრიკული (სასწავლო პროცესის ორგანიზების და აღრიცხვის ერთიანი პროგრამა)
 - უცხოელი სტუდენტებისთვის
- დაწესებულებები
 - ბიბლიოთეკა (Note: "წინო გუჯაბიძე")
 - კატალოგი
 - სიახლეები
 - ღონისძიებები
 - მუზეუმი (Note: "ლიკა ჭკუასელი, თემურ ბიბილური")
 - გალერეა
- ვაკანსიები (Note: "PDF")

- სტუდენტური ცხოვრება/განცხადებების დაფა
- თვითმმართველობა
- ბმულები
- პარტნიორები
- პარტნიორები
 - ჩამონათვალი, გადასვლა ლინკებზე
 - ერთობლივი პროექტები, ბმულები
- განათლება
- სტიპენდიები/ფონდები
- არტ-ღონისძიებები
- გალერეები/მუზეუმები
- სასწავლო რესურსები
- რეესტრი

სამხატვრო აკადემიის ლოგო



თბილისის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემია



T B I L I S I S T A T E
A C A D E M Y O F A R T S



თბილისის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემია
T B I L I S I S T A T E
A C A D E M Y O F A R T S

თბილისის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემია



T B I L I S I S T A T E
A C A D E M Y O F A R T S



თბილისის ავღონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
T B I L I S I S T A T E A C A D E M Y O F A R T S

თბილისის ავღონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
T B I L I S I S T A T E A C A D E M Y O F A R T S



ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ.თბილისი

_____2013

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ ა(ა)იპ თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კაბა ტრაპაიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ (შემდგომში „მიმწოდებელი“) ააიპ თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ ჩატარებული კონკურსის (კონკურსის ნომერი) გათვალისწინებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ — „ხელშეკრულება“) — „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

2.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

2.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შესყიდვა.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და გეგმა-გრაფიკი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს

5.2. სამუშაოების შესრულების საბოლოო ვადაა

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების ხარისხზე, ვარგისიანობასა და დროულობაზე.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას ხელშეკრულების ღირებულება დადგენილი ოდენობით.

6.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

6.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6.6. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით შეუცვლის შემსყიდველს უხარისხო საქონელი.

6.7. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დანართებში არსებული მონაცემების მიხედვით.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება საქონლის მიწოდების შემდეგ, მხარეების უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის.

8. ხელშეკრულების კონტროლი

8.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი.

8.2. ყველა გამოვლენილი და დასაბუთებული ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

10. ანგარიშსწორება

10.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

10.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, სამუშაოების შესრულების შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

11. ფასები

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

11.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის ცალმხრივად შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის ან/და შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, ამ შემთხვევაში ნებისმიერი მხარე იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი თანხებისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

14.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 15 სამუშაო დღით ადრე.

15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. დავების გაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი: